დამტკიცებულია:

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2018 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შედგენის წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1 სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ერთიანი ბიუჯეტის შედგენის წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის #124/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 25 აგვისტოს #672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

1.2 ბიუჯეტის შედგენის წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს ნაერთი ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, დამტკიცების და ერთიანი ბიუჯეტის შესრულების პროცედურას, პასუხისმგებლობასა და კომპეტენტიის საკითხებს.

2. უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტი

2.1 უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამედიცინო საქმიანობის განსახორციელებლად მისაღები შემოსავლების და გასაწევი ხარჯების ერთობლიობა.

2.2 უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლებია სახელმწიფო ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე და კომერციულ ბანკების ანგარიშსწორების ანგარიშზე ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობა.

2.3 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასა და დამტკიცებას.

2.4 უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი შემუშავდება ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კონსულტაციით.

3. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროები

3.1 უნივერსიტეტი თავის სტრუქტურულ ერთეულებით ახორციელებს კანონმდებლობით ნებადართულ სამეწარმეო საქმიანობას.

3.2 უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტითა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე);

ბ) გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;

დ) სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ე) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

ვ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალები.

3.3 უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელებია, უნივერსიტეტის და მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მათი ამოცანებისა და ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ფულადი სახსრები.

4. უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შემადგენლობა და ფორმირების პროცესი

4.1 უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილებია:

- ✓ თვით უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ✓ საუნივერსიტეტო კლინიკების ბიუჯეტები;
- ✓ სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტები.

4.2 თვით უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენლობა და ფორმირების პროცესი

4.2.1 თვით უნივერსიტეტის ბიუჯეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, დიპლომისშემდგომი სწავლების ინსტიტუტის, ცენტრების და ბიბლიოთეკის ბიუჯეტებისაგან.

4.2.2 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების მეშვეობით, ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, დიპლომისშემდგომი სწავლების ინსტიტუტის, ცენტრების და ბიბლიოთეკის მიერ საკუთარი ბიუჯეტის პროექტის შედგენას და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას.

4.2.3 უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის შემადგენლობაში შემავალი თითოეული დეპარტამენტი, კათედრა, ლაბორატორია, პროგრამული მიმართულება და სხვა სტრუქტურული ერთეული ფაკულტეტს წარუდგენს საანგარიშო წლის განმავლობაში საჭირო მოთხოვნებს.

4.2.4 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო, განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ბიუჯეტის პროექტს;

4.2.5 ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ბიუჯეტის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ფაკულტეტის შემოსავლებს. გამონაკლის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ნორმალური წარმართვის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარედგინოს ისეთი ხარჯი/დასაბუთებული მოთხოვნა, რომელიც სცილდება ფაკულტეტის შემოსავალს.

4.2.6 ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანი პასუხისმგებელია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ბიუჯეტის მიზნობრივი გამოყენებისთვის;

4.2.7 დიპლომისშემდგომი სწავლების ინსტიტუტის, ცენტრების და ბიბლიოთეკის ბიუჯეტის პროექტს შეიმუშავებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ამ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პირი.

4.2.8 სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურული ერთეულის შემოსავლების პარამეტრებს. იმ სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი საქმიანობიდან პირდაპირი შემოსავალი (მ.შ. ბიბლიოთეკა) ყალიბდება სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნებიდან გამომდინარე, არსებული რესურსებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;

4.2.9 დიპლომისშემდგომი სწავლების ინსტიტუტის, ცენტრების და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პირი პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის შედგენის სისწორესა და მისი მიზნობრივი გამოყენებისთვის;

4.3 საუნივერსიტეტო კლინიკების ბიუჯეტის ფორმირების პროცესი

4.3.1 უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის (საუნივერსიტეტო კლინიკა) ბიუჯეტის პროექტს ამზადებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახური და მოსაწონებლად წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

4.3.2 ბიუჯეტის პროექტის მოწონების შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ნაერთი ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენისათვის.

4.4 უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტის ფორმირების პროცესი

4.4.1 უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის (სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი) ბიუჯეტის პროექტს ამზადებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახური და მოსაწონებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს.

4.4.2 სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მოწონებული ბიუჯეტის პროექტი, წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ნაერთი ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენის მიზნით.

4.5 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დამხმარე სამსახურების მეშვეობით ამზადებს უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტს.

4.6 უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტი წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინება საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე.

4.7 წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს და ამტკიცებს მას ან შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

4.8 თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

4.9 იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არ ეთანხმება წარმომადგენლობითი საბჭოს შენიშვნებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლება აქვს, ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი სათანადოდ დასაბუთებული დასამტკიცებლად დაუბრუნოს წარმომადგენლობით საბჭოს. წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენილ დასაბუთებას უნდა ერთოდეს აკადემიური საბჭოს წინადადებები.

4.10 წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბიუჯეტის განმეორებით დაუმტკიცებლობა იწვევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფელბამოსილების შეწყვეტას და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება ახალშერჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

4.11 ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ბიუჯეტის დამტკიცებამდე მიმდინარე საქმიანობა ფინანსდება ყოველ თვეში არაუმეტეს წინა წლის ბიუჯეტის 1/12-ის ოდენობით.

4.12 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების მეშვეობით, ამზადებს ერთიანი ბიუჯეტის კვარტალურ განწერას და წარადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

4.13 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით, უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის კვარტალურ გაანწერას წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს.

5. უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ერთიანი ბიუჯეტის განწერის ცვლილების პროცესი

5.1 უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ცვლილების შეტანა ხორციელდება იმავე წესით, რა წესითაც მტკიცდება უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტი.

5.2 უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის კვარტალურ განწერაში ცვლილების შეტანა ხორციელდება იმავე წესით, რა წესითაც დგინდება ერთიანი ბიუჯეტის კვარტალური განწერა.